საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. ამბროლაური

N ად–83
16.10.2024

83-01-4-202410161018

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებით სარგებლობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების მეორე თავის მე-5 მუხლის „ფ“ პუნქტის, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის -სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის 2024 წლის 04 ოქტომბრის N846 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე:

1.დამტკიცდეს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებით სარგებლობის ინსტრუქცია დანართი N1 შესაბამისად;
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1(ერთი) თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13);
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პარმენ მარგველიძე

სახელმწიფო რწმუნებული
.

დანართი N1

დამტკიცებულია სახელმწიფო რწმუნებულის
2024 წლის 16 ოქტომბრის Nად-83 განკარგულებით

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებით სარგებლობის ინსტრუქცია

მუხლი1. მოქმედების სფერო

აღნიშნული ინსტრუქცია ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის (შემდგომშიადმინისტრაცია) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების მართლზომიერი გამოყენების წესს, ავტოპარკის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული საბიუჯეტო სახსრების რაციონალური განკარგვის და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. განპიროვნებული ავტომანქანა - ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება ადმინისტრაციის ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში ადმინისტრაციის კონკრეტულ თანამშრომელზე;

2. სამორიგეო ავტომანქანა - ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომანქანების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციის კონკრეტულ თანამშრომელზე;

მუხლი 3. განპიროვნებული ავტომანქანით მოსარგებლე პირები

1. განპიროვნებული ავტომანქანა შეიძლება გააჩნდეს შემდეგ პირებს:

ა) სახელმწიფო რწმუნებული;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე და მოადგილე;

გ) ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

2.სახელმწიფო რწმუნებულის გადაწყვეტილების საფუძველზე ავტომანქანა შესაძლოა განპიროვნდეს ადმინისტრაციაში დასაქმებულ სხვა პირზეც.

მუხლი 4. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე პასუხისმგებელი პირები

1. განპიროვნებული და სამორიგეო ავტომანქანების მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო რწმუნებულის გადაწყვეტილებით განისაზღვრებიან შესაბამისი პასუხისმგებელი პირები;

2. ადმინისტრაციის ავტომანქანაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრება ის თანამშრომელი, რომელსაც აქვს ავტომანქანის ტიპის შესაბამისი მართვის მოწმობა;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინამდებარე ინსტრუქციით;

4. პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ავტომანქანაზე შესაძლებელია დროებით განისაზღვროს სხვა პასუხისმგებელი პირი;

5. ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, განპიროვნებული ავტომანქანით სარგებლობის უფლება შესაძლოა მიენიჭოს ადმინისტრაციაში დასაქმებულ სხვა პირსაც. ნებართვის მისაღებად სახელმწიფო რწმუნებულს წარედგინება მოხსენებითი ბარათი, სადაც მიეთითება ავტომანქანის გადაადგილების მიზნობრიობა და მიმართულება;

6. სამორიგეო ავტომანქანის არსებობის შემთხვევაში, მისი გამოყენება, ყოველი კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით, მოხდეს სახელმწიფო რწმუნებულისგან ნებართვის მიღების შემდგომ. ნებართვის მისაღებად სახელმწიფო რწმუნებულს წარედგინება მოხსენებითი ბარათი, სადაც მიეთითება სამორიგეო ავტომანქანის გადაადგილების მიზნობრიობა და მიმართულება

მუხლი 5. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე საწვავის გაცემის პირობები

1. სახელმწიფო რწმუნებულის გადაწყვეტილებით თითოეულ ავტომანქანაზე განისაზღვრება საწვავის ყოველთვიური ლიმიტი;

2. საწვავის ლიმიტის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულის გადაწყვეტილებით - განკარგულებით.

6. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანით სარგებლობისას პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) გამოიყენოს ავტომანქანა მხოლოდ სამსახურებრივი დანიშნულებით;

ბ) შეასრულოს ავტომანქანის მწარმოებლის მიერ დადგენილი ავტომანქანის ექსპლუატაციის წესები და ნორმები;

გ) დაიცვას საგზაო მოძრაობის დადგენილი წესები;

დ) ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, დროულად, წერილობით აცნობოს სხელმწიფო რწმუნებულს და უზრუნველყოს ავტომანქანის მიყვანა სარემონტოდ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შესაბამის კონტრაქტორ კომპანიასთან;

ე) ავტომანქანის დათვალიერების შემდგომ, სახელმწიფო რწმუნებულს მოხსენებითი ბარათით წარუდგინოს შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (დეფექტური აქტი) და აიღოს ნებართვა ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან ხარჯის გაწევის თაობაზე;

ვ) უზრუნველყოს ავტომანქანის პერიოდულ სავალდებულო ინსპექტირებაზე დროულად მიყვანა;

ზ) სეზონური საბურავების საჭიროების შემთხვევაში, წერილობით მიმართოს სახელმწიფო რწმუნებულს მოხსენებითი ბარათით;

თ) დაზღვეული ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, იმოქმედოს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალიწინებული პირობების შესაბამისად;

ი) უზრუნველყოს ავტომანქანაზე გამოწერილი ჯარიმების გადახდა, რომელიც გამოწვეულია მისი ბრალეულობით;

კ) ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული საწვავის ოდენობაზე მეტი ოდენობის საწვავის საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო რწმუნებულს მიმართოს მოხსენებითი ბარათით, საწვავის დამატების საჭიროების შესახებ.